ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 04 ოქტომბრის

საკრებულოს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

   მომხს: მალხაზ ფხალაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2020 და 2021 წლის განვლილ პერიოდში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ

   მომხს: პეტრე შარიქაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის #50/70 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

სხვადასხვა:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი ,,თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ მიერ, 2021 წლის 01 იანვრიდან 01 ივლისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

   მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში covid – 19 - ის გავრცელების მდგომარეობისა და პანდემიის პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია

   მომსხ: შმაგი ხიჯაკაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 04 ოქტომბრის მორიგი სხდომის
ოქმი N 18

2021 წლის 04 ოქტომბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, ქეთევან ზუმბაძე სულ 20 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

დავით დევდარიანი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

პეტრე შარიქაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ინგა ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ი. ბერაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

მ. შათირიშვილი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ჟურნალისტი

მ. შარიქაძე - ა.ა.ი.პ. „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის“ ჟურნალისტი

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი“-ს რედაქტორი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი“-ს ჟურნალისტი,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მალხაზ ფხალაძე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2020 და 2021 წლის განვლილ პერიოდში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

სხვადასხვა:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი ,,თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ მიერ, 2021 წლის 01 იანვრიდან 01 ივლისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტიში covid – 19 - ის გავრცელების მდგომარეობისა და პანდემიის პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია

მომსხ: შმაგი ხიჯაკაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 20 წევრი

მომხრე 20

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ. ფხალაძის ანგარიში

საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ **(თან ერთვის).**

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრის ზურაბ ხაჩიძის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 20 წევრი

მომხრე 20

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პ. შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში 2020 და 2021 წლის განვლილ პერიოდში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სამსახურის საქმიანობაში არის რადიკალური ცვლილება დადებითი მიმართულებით, სამსახური მოტივირებულია აქტიურად ჩაერთოს პროექტების ხარისხიანად და დროულად შესრულების საქმეში და წარმატებები უსურვა მათ.
ლ. აბაშიძემ, დ, ხაჩიძემ მადლობა გადაუხადეს პ. შარიქაძეს აქტიური საქმიანობისათის და დაუსვეს შეკითხვები მათ ადმინისტრაციულ ერთეულებში დაგეგმილი პროექტების განხორციელების ვადებთან დაკავშირებით.
პ. შარიქაძემ მათ შეკითხვებს უპასუხა
ნ. მაღრაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მის მიერ არაერთგზის იყო დაყენებული საკითხი მარელისის ერთ - ერთი რთული უბნის გზის შეკეთებასთან დაკავშირებით, მაგრამ მერიის მიერ მას დრემდე რეაგირება არ მოჰყოლია, მან მოითხოვა ყურადღება მიექციათ ამ საკითხისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნული ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულოს მიერ : განკარგულება მიიღებული იქნა ცნობად (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის #50/70 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)
საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 20 წევრი

მომხრე 20

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის, ,თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიი" თავმჯდომარის ი. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი ,,თვითნებურად დაკავებულმიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ მიერ, 2021 წლის 01 იანვრიდან 01 ივლისამდე გაწეული საქმიანობის შესახებ (ინფორმაცია თან ერთვის).

საკრებულოს აღნიშნული ინფორმაცია მიიღო ცნობად.

დღის წესრიგის - სხვადასხვაში შეტანილი საკითხი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტიში covid – 19 - ის გავრცელების მდგომარეობისა და პანდემიის პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია არ განხილულა მომხსენებლის არ გამოცხადების გამო (მომსხ: შმაგი ხიჯაკაძე)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**